ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი

სამოქმედო გეგმის მიმოხილვა: საქართველო, 2023-2025 წწ.

Open Government Partnership

Independent Reporting Mechanism

შინაარსი

I სექცია: 2023–2025 წლების სამოქმედო გეგმის მიმოხილვა 2

II სექცია: საქართველოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი პერსპექტიული ვალდებულებები 6

III სექცია. მეთოდოლოგია და IRM-ის ინდიკატორები 15

დანართი 1. ვალდებულება ვალდებულების მონაცემების მიხედვით 19

დანართი 2: სამოქმედო გეგმის ერთობლივი შექმნა 21

***დათქმა**: ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.. IRM-ის შეფასებები ტარდება დამოუკიდებლად ადგლობრივ მკვლევრებთან თანამშრომლობით, რომლებსაც განიხილავს IRM-ის პერსონალი და რომელთა კონტროლი ხორციელდება საერთაშორისო ექსპერტთა პანელის (IEP) მიერ დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევის უზრუნველსაყოფად.*

Funded by the European Union

Open Government Partnership

Independent Reporting Mechanism

I სექცია: 2023–2025 წლების სამოქმედო გეგმის მიმოხილვა

საქართველოს მეხუთე სამოქმედო გეგმა მოიცავს მთავრობის გამჭვირვალობას, ღია მონაცემებსა და სოციალურ ინტეგრაციას. თანაშექმნის პროცესი რამდენჯერმე შეფერხდა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ბევრი წინადადება გამოირიცხა ან მასშტაბით შემცირდა, რის შედეგადაც მივიღეთ ნაკლებად ამბიციური სამოქმედო გეგმა. 2024 წლის მაისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ხელახალი წარმოდგენა და მიღება უარყოფითად აისახა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობაზე, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველოს უწყვეტი მონაწილეობა ,,ღია მმართველობის პარტნიორობაში“ (OGP).

საქართველოს მეხუთე სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 10 ვალდებულება, რომელთა უმეტესობა წარმოადგენს მიმდინარე სამთავრობო პროგრამების გაგრძელებას ან წინა სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული დაუსრულებელ აქტივობებს. IRM-მა განსაზღვრა ვალდებულება 2, როგორც ყველაზე პერსპექტიული. ეს ვალდებულება სახელმწიფო დაწესებულებებს პირველად უზრუნველყოფს ღია მონაცემების გამოქვეყნებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზით. სხვა ვალდებულებების მასშტაბები შეზღუდულია და მათი შესრულება სამოქმედო გეგმის განხორციელების ბოლოს მხოლოდ მოკრძალებულ შედეგებამდე მიგვიყვანს.

მოკლედ

მონაწილეობა: 2011 წლიდან

ვალდებულებების რაოდენობა: 10

ვალდებულებების მიმოხილვა:
ვალდებულებები ღია მმართველობის რაკურსით: 9 (90%)

ვალდებულებები, რომლებსაც გააჩნიათ შედეგების მიღწევის მნიშვნელოვანი პოტენციალი: 1 (10%)

პერსპექტიული ვალდებულებები 1

პოლიტიკის სფეროები:
წინა სამოქმედო გეგმებიდან გადმოტანილი:

- ღია მონაცემები და გამჭვირვალობა
- სოციალური ინტეგრაცია
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ დონეზე

წინამდებარე სამოქმედო გეგმაში წამოჭრილი:

- მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობა

სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა პერიოდული თანაშექმნის პროცესის შედეგად, რომელიც გრძელდებოდა 2020 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრამდე. ამ დროის განმავლობაში საქართველომ გამოტოვა სამოქმედო გეგმის ზედიზედ ორი ციკლი და OGP-ის კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის პროცედურული განხილვის ქვეშ მოექცა.[1] მთავრობამ შეაჩერა OGP-ის პროცესი 2020 წელს COVID-19 პანდემიის გამო, რომლიც განაახლა 2021 წელს ღია მმართველობის მრავალმხრივი ფორუმის წევრი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) მიერ წაყენებული მოთხოვნის საფუძველზე[2] თანაშექმნის პროცესი კვლავ შეფერხდა 2022 წლის იანვარსა და თებერვალში გამართული ფორუმის შეხვედრების შემდეგ, როდესაც მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვერ შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაში შესატან ვალდებულებებზე. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ, საბჭოს თანათავმჯდომარემ, სამოქალაქო საზოგადოების სახელით 45 წინადადებისგან შემდგარი

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

ნუსხა წარუდგინა ღია მმართველობის ფორუმს.[3] ეს წინადადებები ითვალისწინებდა საგამოძიებო ფუნქციების მქონე დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ცალკე კანონის მიღებას და სახელმწიფო გრანტების გაცემის გამჭვირვალობის გაზრდას. 2022 წლის 21 დეკემბერს, ფორუმის ბოლო შეხვედრიდან (თებერვალი 2022) თითქმის ერთი წლის შემდეგ, მთავრობამ სსო-ებს გაუზიარა დოკუმენტი, რომელშიც თითოეული ინიციატივისთვის წარმოდგენილი იყო არგუმენტაცია.[4] სსო-ები ზოგადად არ ეთანხმებოდნენ მთავრობის მიერ ბევრ ამ წინადადებაზე უარის თქმის დასაბუთებას და საპასუხო წერილში აღნიშნავდნენ, რომ „ხშირ შემთხვევაში, მთავრობის მიერ შეტანილი ცვლილებები ფუნდამენტურად ცვლიდნენ ვალდებულების პირველად მიზანს“.[5] ერთ-ერთი სსო აღნიშნავდა, რომ მთავრობა „აგრძელებს ეროვნულ დონეზე OGP პროცესის ფორმალურად შენარჩუნებას“.[6] 2023 წლის 20 დეკემბერს გამართულ საბჭოს სხდომაზე სამოქალაქო საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება, დაემტკიცებინა სამოქმედო გეგმა, რათა თავიდან აეცილებინა საქართველოს უმოქმედოდ გამოცხადება OGP პროცესში. თუმცა, სსო-ებმა აღნიშნეს, რომ მისი დამტკიცება იყო ფორმალობა, რადგან მთავრობამ შეხვედრამდე არ გააცნო მათ საბოლოო სამოქმედო გეგმა და მათი რეკომენდაციების უმეტესობა არ იყო ამ დოკუმენტში წარმოდგენილი.[7]

მთელი რიგი ვალდებულებების შესრულება გრძელდება წინა სამოქმედო გეგმებიდან, როგორებიცაა სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობის გაზრდა. ვალდებულება 4 პირველად ითვალისწინებს მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობას საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმაში, მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან ეს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ადვოკატირების საგანს .[8] საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმა ნაკლებად ამბიციურია საქართველოს წინა გეგმებთან შედარებით, სადაც წარმოდგენილია დიდი რაოდენობით ვალდებულებები, რომლებსაც გააჩნია შედეგების მიღწევის გაურკვეველი ან მოკრძალებული პოტენციალი. უფრო მეტიც, უმეტესი ვალდებულებების ამბიცია არ იყო სამოქალაქო საზოგადოების თავდაპირველ წინადადებებთან შესაბამისობაში. მაგალითად, სსო-ების შემოთავაზება იყო, რომ საქართველოს აეღო ვალდებულება, ჩართულიყო მოპოვების მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივაში (EITI), თუმცა ვალდებულება 4 ითვალისწინებს მხოლოდ საქართველოს ინსტიტუციური და სამართლებრივი მზადყოფნის შეფასებას EITI-ში გაწევრიანებისა და წევრობის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

2023 წლის თებერვალში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (12 თებერვალი) და „უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ (22 თებერვალი) კანონპროექტების ინიცირებისთანავე, სსო-ებმა შეაჩერეს ღია საპარლამენტო ინიციატივის საკონსულტაციო ჯგუფის წევრობა[9] და წერილობით მიმართეს OGP კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტს (C&S), დაეწყო რეაგირების მექანიზმის გამოყენება საქართველოს მიმართ.[10] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების 2023 წლის აპრილის თვით დათარიღებულ წერილში ხაზგასმულია, რომ საქართველოს მთავრობა ბოლო წლებში მნიშვნელოვან შეუსაბამობას ავლენდა ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითად დოკუმენტებთან, როგორიცაა ღია მმართველობის დეკლარაცია და მმართველობის წესები. [11]

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

მთავრობამ კანონპროექტი ხელახლა წარადგინა 2024 წლის აპრილში (სახელწოდებით „კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“) და 2024 წლის 28 მაისს მიიღო. კანონი მიღებიდან 60 დღეში, ხოლო რეგისტრაციის ვალდებულება აგვისტო-სექტემბერში, ოქტომბრის არჩევნების წინ ამოქმედდა. ეს კანონი ავალდებულებს ორგანიზაციებს, რომლებიც საზღვარგარეთიდან იღებენ დაფინანსების 20 პროცენტზე მეტს, იდენტიფიცირდნენ როგორც უცხოური ძალის ინტერესების გამტარი ორგანიზაცია, რაც იწვევს ქართული სსო-ების შეშფოთებას მათი სტიგმატიზაციისა და ქვეყანაში თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობის თაობაზე. 2024 წლის 11 ივნისს, ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრმა სსო-ებმა, კანონის მიღების შემდეგ, გამოაცხადეს გადაწყვეტილება საბჭოს და ფორუმის დატოვების შესახებ.[12] მკვეთრი იყო საერთაშორისო რეაქციაცკანონის მიღებასთან დაკავშირებით.[13] ევროკავშირმა (EU) განაცხადა, რომ კანონის ამოქმედება გამოიწვევდა საქართველოსთვის მინიჭებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციის უკან გატანას და უარყოფითად იმოქმედებდა ევროკავშირში საქათველოს გაწევრიანების პროცესზე.[14] 2024 წლის მაისში, ვენეციის კომისიამ და ეუთოს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა დაჩქარებული წესით გამოაქვეყნეს მოსაზრება კანონის შესახებ. [15]2024 წლის ივლისში ევროკავშირმა კანონის მიღების გამო ფაქტობრივად გაყინა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პროცესი.[16] ამავე დროს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა განაცხადა შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ყოვლისმომცველი გადახედვის შესახებ.[17] 2024 წლის ივლისის ბოლოს გადახედვის შედეგად შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა შეეჩერებინა დახმარების სახით 95 მილიონ დოლარზე მეტის გაცემა, რომელიც უშუალო სარგებელს მოუტანდა საქართველოს მთავრობას.[18] იმავდროულად, C&S-მა მოუწოდა საქართველოს მთავრობას შეემუშავებინა სამუშაო გეგმა, რათა უკან გაეწვიათ კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ და სხვა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, დაეცვათ გაერთიანებისა და პრესის თავისუფლება და გაეუმჯობესებინათ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.[19] C&S-მა ასევე აღნიშნა, რომ სამუშაო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს OGP-იდან საქართველოს გამოთიშვა პრობლემების გადაწყვეტამდე.

---

[1] ღია მმართველობის პარტნიორობა, წერილები მთავრობის ადმინისტრაციას, 2022-2023 წწ., https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/02/Georgia_Under-Review-Letter_20230207.pdf

[2] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შეჩერებული პროცესი საქართველოში, 2021 წლის 7 დეკემბერი, https://transparency.ge/en/post/ngo-statement-suspended-process-open-government-partnership-ogp-georgia

[3] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), IDFI-ის რეკომენდაციები 2021-2022, ღია მმართველობის საქართველოს სამოქმედო გეგმისთვის, 2020 წ., https://idfi.ge/public/upload/ OGP/translation-IDFI-OGP-Commitments-gov-eng.pdf

[4] ინფორმაცია მოწოდებულია ლილი ლეჟავას (უფროსი ანალიტიკოსი საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში) მიერ ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდე განხილვის დროს, 2024 წლის 26 აგვისტო.

[5] სსო-ების უკუკავშირი საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პასუხზე წერილთან დაკავშირებით, 2023 წლის 25 სექტემბერი, https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/09/Georgia_Feedback-to-Gov-Response-with-Annexes_20230925.pdf

[6] სანდრო ქევხიშვილი (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ანტიკორუფციული პროგრამის მენეჯერი), ინტერვიუ IRM-თან,

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

[7] ლილი ლეჟავა (უფროსი ანალიტიკოსი საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში), ინტერვიუ IRM-თან, 2024 წლის 1 აპრილი; გიორგი ონიანი (აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში), ინტერვიუ IRM-თან, 2024 წლის 1 აპრილი; სალომე საღარაძე (პროექტის კოორდინატორი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში (საია)), ინტერვიუ IRM-თან, 2024 წლის 2 აპრილი.
[8] ღია მმართველობის პარტნიორობა, რატომ არის მნიშვნელოვანი EITI-OGP სინერგია საქართველოსთვის, 2020 წლის 20 იანვარი, https://www.opengovpartnership.org/stories/why-eiti-ogp-synergy-matters-for-georgia
[9] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების განცხადება საქართველოს პარლამენტის საკონსულტაციო ჯგუფში წევრობის შეჩერების შესახებ, 2023 წლის 10 მარტი, https://transparency.ge/en/post/statement-civil-society- organizatas-supending-membership-consultative-group-parliament/?custom_searched_keyword=OGP
[10] ღია მმართველობის პარტნიორობა, რეაგირების პოლიტიკა: საქართველო, 2023 წლის 13 აპრილი, https://www.opengovpartnership.org/ogp-response-policy/response-policy-case-georgia/
[11] უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის გარდა, სსო-ების წერილი ხაზს უსვამდა პრობლემებს სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და კრიტიკული მედიის შეზღუდულ სივრცესთან დაკავშირებით, ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევებს, მათ შორის გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, სასამართლო დამოუკიდებლობის შესუსტებას და ეროვნული OGP პროცესისა და ღია მმართველობის რეფორმების სტაგნაციას. იხილეთ https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/04/Georgia_Letter-of-Concern_20230413.pdf
[12] ,,სივილ ჯორჯია", ,,აგენტების" კანონის გამო" არასამთავრობო ორგანიზაციები ღია მმართველობა საქართველოს საბჭოს და სამუშაო ჯგუფს ტოვებენ, 2024 წლის 11 ივნისი, https://civil.ge/ka/archives/612434
[13],,სივილ ჯორჯია", „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას საერთაშორისო გამოხმაურებები მოყვა, 2024 წლის 29 მაისი, https://civil.ge/ka/archives/609991
[14] ევროკომისია, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და ევროკომისიის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის" შესახებ კანონის საბოლოო მიღებასთან დაკავშირებით, სამეზობლო და გაფართოების საკითხებზე მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატი, 2024 წლის 28 მაისი, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/statement-high-representative-european-commission-final-adoption-law-transparency-foreign-influence-2024-05-28_en
[15] იხილეთ https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e და https://www.osce.org/files/f/documents/b/d/569922.pdf
[16] ,,პოლიტიკო", ევროკავშირი აცხადებს, რომ საქართველოს გაწევრიანება „შეჩერებულია" ანტიდასავლური შემობრუნების შემდეგ, 9 ივლისი, 2024 წ., https://www.politico.eu/article/georgia-eu-accession-stopped-anti-west- pivot-russian-law-foreign-agent-bill/
[17] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, განცხადება საქართველოში დემოკრატიის შელახვის გამო სავიზო შეზღუდვის პოლიტიკის შესახებ და აშშ-სა და საქართველოს ყველა თანამშრომლობის ყოვლისმომცველი მიმოხილვა, 2024 წლის 23 მაისი, https://www.state.gov/announcement-of-a-visa-restriction-policy-for-undermining-democracy-in-georgia-and-comprehensive-review-of-all-u-s-georgia-cooperation/
[18] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, შეერთებული შტატები აჩერებს საქართველოს მთავრობის დახმარებას, 2024 წლის 31 ივლისი, https://www.state.gov/united-states-to-pause-assistance-to-the-government-of-georgia/
[19] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს მთავრობამ მოუწოდა დაიცვას ღია მმართველობის რეკომენდაციები იმ კანონმდებლობის პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოებას, 7 მაისი, 2024 წ., https://www.opengovpartnership. org/news/government-of-georgia-urged-to-follow-open-government-recommendations-to-address-legislation-restricting-civil-society/

II სექცია: საქართველოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი პერსპექტიული ვალდებულებები

ქვემოთ განხილულია ერთი ვალდებულება, რომელიც IRM-მა განსაზღვრა, როგორც ყველაზე პერსპექტიული შედეგების მიღწევის პოტენციალის მქონე. პერსპექტიული ვალდებულებები ეხება პოლიტიკის სფეროს, რომელიც მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთათვის ან ეროვნული კონტექსტისთვის. ისინი უნდა იყოს შემოწმებადი, გააჩნდეს შესაბამისი ღია მმართველობის რაკურსი და შედეგების მიღწევის ზომიერი ან მნიშვნელოვანი პოტენციალი. წინამდებარე მიმოხილვაში ასევე წარმოდგენილია გამოწვევების, შესაძლებლობებისა და რეკომენდაციების ანალიზი ამ სამოქმედო გეგმის შესწავლისა და განხორციელების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

ცხრილი 1. პერსპექტიული ვალდებულებები

პერსპექტიული ვალდებულებები
2: ღია მონაცემების აქტის მიღება: ეს ვალდებულება მიზნად ისახავს ღია მონაცემების საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და მიღებას, რომელიც დაავალდებულებს სახელმწიფო დაწესებულებებს მათ საკუთრებაში არსებული ღია მონაცემების გამოქვეყნებას.

ვალდებულება 2: ღია მონაცემების აქტის მიღება (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო)

ვალდებულების სრული აღწერილობის სანახავად იხილეთ საქართველოს სამოქმედო გეგმის 2023-2025 წლების ვალდებულება 2 აქ:

კონტექსტი და მიზნები:
ღია მონაცემები საქართველოსთვის ყურადღების ცენტრშია OGP-ის ფარგლებში, მეორე სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ (2014-2016 წწ.).[1] მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულმა სახელმწიფო დაწესებულებებმა დაიწყო მონაცემთა ნაკრების გამოქვეყნება data.gov.ge პორტალზე, სახელმწიფო დაწესებულებებისთვის მონაცემების ღია ფორმატით გამოქვეყნების სამართლებრივი მოთხოვნის არარსებობამ განაპირობა ხელმისაწვდომ მონაცემთა ნაკრების რაოდენობის შეზღუდვა.[2] დღევანდელი მდგომარეობით, პორტალი მოძველებულია და უახლეს მონაცემთა ნაკრები 2019 წლით თარიღდება. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლამდე სამოქალაქო გამოყენების შესახებ კონკრეტული მონაცემები შეზღუდულია, არსებობს გარკვეული ჩართულობის მტკიცებულება. 2015 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო აქტორები იყენებდნენ ხელმისაწვდომ მონაცემთა ნაკრებს, თუმცა სრული პოტენციალის გამოყენებას აფერხებდა არასრული მონაცემთა გამოქვეყნება, გამოვლენილ იქნა რა 162 დამატებითი მონაცემთა ნაკრები, რომლებიც უნდა გამოქვეყნებულიყო.[3] 2020 წლის ღია მონაცემების მზაობის ანგარიშში, 187 ქვეყანას შორის, საქართველოს 31-ე ადგილი ეჭირა, რაც პროგრესზე მიუთითებს, თუმცა 2019 წლიდან მონაცემთა განახლების სტაგნაციამ სავარაუდოდ შეაფერხა მონაცემთა ხელახალი გამოყენების მზარდი იმპულსი.[4] წინა, მეოთხე სამოქმედო გეგმის მიხედვით (2018-2019 წწ.)

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებმა და პარლამენტმა განახორციელეს ვალდებულებები, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ღია მონაცემების პრაქტიკა.[5] თუმცა, ღია მონაცემების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ დაბალია სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში ღია მონაცემების დამუშავებისა და გამოქვეყნების ერთიანი წესების არარსებობის, data.gov.ge-ზე მოძველებული კონტენტისა და ინფრასტრუქტურის და ღია მონაცემების შესახებ შეზღუდული ინფორმირებულობის გამო.[6]

ამ ვალდებულებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსთან თანამშრომლობით, მიზნად ისახავს ღია მონაცემების აქტის მიღებას, რომელიც განსაზღვრავს data.gov.ge-ზე ღია ფორმატით სამთავრობო მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების საკანონმდებლო ბაზას. ერთიანი სტანდარტების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია შეიმუშავებს ღია მონაცემთა წარმოებისა და დამუშავების სისტემებს და განახორციელებს საპილოტე სისტემების გაშვებას ხუთ სახელმწიფო უწყებაში. და ბოლოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია განაახლებს data.gov.ge-ს, რათა სახელმწიფო დაწესებულებებმა შეძლონ ღია მონაცემების რეგულარულად გამოქვეყნება 2026 წლიდან. ღია მონაცემების აქტი წარმოადგენს საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2023-2026 წლების სტრატეგიის ნაწილს.[7] საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებასთან ერთად, ის ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას PAR სტრატეგიის მე-3 მიზნის შესაბამისად.

შედეგების მიღწევის პოტენციალი: მნიშვნელოვანი

რადგან ღია მონაცემების აქტი პირველად დააწესებს მთავრობის მასშტაბით ღია მონაცემების გამოქვეყნების საკანონმდებლო მოთხოვნას, მას გააჩნია შედეგების მიღწევის მნიშვნელოვანი პოტენციალი სამთავრობო მონაცემების გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად. ახალ საკანონმდებლო ბაზას შეუძლია უზრუნველყოს ღია მონაცემების რეგულარული და პროაქტიული გამოქვეყნება და გაუმჯობესოს სამთავრობო ინფორმაციის გამოყენების პრაქტიკა, ხარისხი და შესაბამისად, გამჭვირვალობა. საკანონმდებლო ბაზა ასევე დააკისრებს სახელმწიფო დაწესებულებებს გამოქვეყნების ვალდებულებას, რაც მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია წინა პრაქტიკასთან შედარებით, როდესაც ნებაყოფლობითი იყო ღია მონაცემების გამოქვეყნება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და სსო-ები თანხმდებიან, რომ ახალმა ღია მონაცემების აქტმა შეიძლება განაპირობოს მაღალი ხარისხის მონაცემთა ნაკრების რეგულარულად გამოქვეყნების პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფო დაწესებულებებს შორის.[8] მან შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს არასახელმწიფო მომხმარებლებს, დროულად მიაკვლიონ და ხელახლა გამოიყენონ მთავრობის კონკრეტული საქმიანობისა და პოლიტიკის შესახებ განახლებული მონაცემთა ნაკრები სხვადასხვა მიზნისთვის, როგორებიცაა მონაცემთა მოძიება და ანალიზი წინადადებების წერის, კვლევისა და საგამოძიებო ჟურნალისტიკის და ასევე ახალი სამთავრობო პოლიტიკის ინიციატივებთან დაკავშირებით უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით. ღია მონაცემთა ნაკრების რეგულარულობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შედეგად სავარაუდოდ ზოგადად გაიზრდება სამთავრობო ინფორმაციის გამოყენება. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მესამე მხარის მიერ ღია მონაცემების ხელახლა გამოყენებას, ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორებიცაა მობილური აპლიკაციები, კონკრეტული

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

აუდიტორიის საჭიროებებზე მორგებული მონაცემთა პორტალები და მონაცემთა რუკები მთავრობის პოლიტიკისა და საქმიანობის უკეთ ასახვისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის მიზნით.

შესაძლებლობები, გამოწვევები და რეკომენდაციები განხორციელებისას
სახელმწიფო უწყებები და საზოგადოება ნაკლებ ინფორმირებულია ღია მონაცემების უპირატესობების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ღია მონაცემებში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მცდელობებს. შესაბამისად, ვალდებულების წარმატებით შესრულება დამოკიდებული იქნება ღია მონაცემების აქტის მასშტაბსა და მოქმედების სფეროზე, რომელიც ეხება მონაცემთა გამოქვეყნებასა და განახლებას, ასევე ღია მონაცემთა პორტალის ფუნქციების გაუმჯობესებაზე, გარდა ამისა, გამოკითხული სსო-ები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ხშირად არ ასრულებენ სხვა ვალდებულებებს, პროაქტიულად გამოაქვეყნონ სამთავრობო ინფორმაცია. ღია მონაცემების აქტის ეფექტურობა შეიძლება შემცირდეს, თუ არ განხორციელდება სახლმწიფო ინსტიტუტების მიერ მის დებულებებთან შესაბამისობის ეფექტური ზედამხედველობა და უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შეიძლება გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები ღია მონაცემების აქტის შემუშავებისას და ამ ვალდებულების განხორციელებისას:

- **ღირებულ მონაცემთა ნაკრების გამოქვეყნების პრიორიტეტულობის მიხედვით განსაზღვრა:** მთავრობას შეუძლია ფოკუსირება მოახდინოს მონაცემთა ნაკრების პროაქტიულ და რეგულარულ გამოქვეყნებაზე, რომლებიც ითვლება ,,ღირებულად" ევროკავშირის ღია მონაცემთა დირექტივის შესაბამისად.[9] ეს მოიცავს გეოსივრცულ, დედამიწასა და გარემოზე დაკვირვების, მეტეოროლოგიურ, სტატისტიკურ, კომპანიისა და კომპანიის მფლობელებისა და მობილურობის მონაცემთა ნაკრებს. გარდა ამისა, ბოლო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მთავრობას შეუძლია პრიორიტეტულობის მიხედვით განსაზღვროს განათლებასთან, ჯანდაცვასთან, სოფლის მეურნეობასთან, გარემოს დაცვასთან, ტრანსპორტთან, მშენებლობასთან, უძრავი ქონების ბაზრის ფასებთან, სახელმწიფო შესყიდვებთან და ვაჭრობის სტატისტიკასთან დაკავშირებული მონაცემთა ნაკრები.[10]

- **მუნიციპალური ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემების შეტანა:** მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს მუნიციპალურ დონეზე ღია მონაცემების შეტანა ღია მონაცემების აქტში, ასევე ერთიანი ფორმატის დაცვა და ცენტრალიზება data.gov.ge-ზე. მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს სახელმძღვანელო მითითებები, ტექნიკური მხარდაჭერა და რესურსები, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს, გამოაქვეყნონ თავიანთი მონაცემები ღია მონაცემთა პორტალზე.

- **აღსრულების მკაფიო მექანიზმების დანერგვა:** ევროკავშირის ღია მონაცემთა დირექტივის[11] შესაბამისად, რომელიც საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს, რომ უზრუნველყონ მათი მონაცემების ხელმისაწვდომობა ხელახლა გამოყენებისთვის, საქართველოს მთავრობას შეუძლია ღია მონაცემების აქტში აღსრულების მკაფიო მექანიზმების შეტანა. წახალისება შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ დახმარებას, საბიუჯეტო მხარდაჭერასა და თანამშრომლების მიღწევების აღიარების პროგრამებს, ხოლო სანქცია შეიძლება მოიცავდეს ღია მონაცემების პრაქტიკის აუდიტს,

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

ანგარიშგების მოთხოვნას შეუსაბამობის შემთხვევაში და ფინანსურ ჯარიმებს საჯარო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სათანადოდ არ აქვეყნებენ მონაცემებს ვებგვერდზე data.gov.ge.

- **ძლიერი „ავტომატური გამოქვეყნების“ პრინციპის დანერგვა.** ეს იმას ნიშნავს, რომ მოხდება ყველა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ღია მონაცემთა ფორმატით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გაუმჟღავნების ლეგიტიმური მიზეზები, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება ან პერსონალური მონაცემების დაცვა. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის სამთავრობო ინფორმაციის გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობას და საჯაროდ ხელახლა გამოყენებას. ამის მაგალითია ესტონეთის საჯარო ინფორმაციის აქტი (PIA).[12] გარდა ამისა, მონაცემთა ხელახალი გამოყენების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, აქტში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ესტონეთის პრაქტიკა, რაც გულისხმობს Creative Commons ლიცენზიების სამთავრობო მონაცემებისთვის გამოყენებას, და ღია ლიცენზიების გამოყენების მოთხოვნას.[13]
- **მონაცემთა ხარისხის, ფორმატებისა და მეტამონაცემების სტანდარტების მითითება** , გამოქვეყნებული მონაცემების გამოყენებადობის უზრუნველყოფის მიზნით. უკრაინისა[14] და ესტონეთის[15] ღია მონაცემთა რეგულაციები წარმოადგენს კარგ საცნობარო მოდელებს, რომლებიც საჭიროებს მანქანით წაკითხვადი ფორმატების გამოყენებას, როგორებიცაა CSV, JSON და XML API-ების მეშვეობით, რაც ასევე ჯგუფური ჩამოტვირთვის (bulk download) ჩამოტვირთვის საშუალებას იძლევა, სადაც ეს შესაძლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის მფლობელი ორგანიზაციები აძლევენ წვდომას ღია მონაცემებზე ფაილის ფორმატით, რომელიც სტრუქტურირებულია ისე, რომ პროგრამული აპლიკაციების მეშვეობით ადვილია კონკრეტული მონაცემების დადგენა, ამოცნობა და ამოღება მონაცემთა აღწერილობებთან ერთად, რომლებიც აღწერენ მონაცემთა ნაკრებს და მასში შემავალ მონაცემებს.
- **პორტალის data.gov.ge ფუნქციონალობის_გაუმჯობესება**. ხელისუფლებას შეუძლია პორტალზე დაამატოს უკუგების მექანიზმი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს გამოითხოვოს კონკრეტული მონაცემთა ნაკრები სახელმწიფო დაწესებულებიდან ან მონიშნოს შემთხვევები, სადაც მონაცემები აკლია. გარდა ამისა, მთავრობას შეუძლია პორტალზე წარმოდგენილი მონაცემები სხვა სამთავრობო პორტალებთან, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდთან, თავსებადი გახადოს.
- **ინოვაციური აპლიკაციებისა და სერვისების შემუშავების მხარდაჭერა.** მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ღია მონაცემების გამოყენებას ინოვაციური აპლიკაციებისა და სერვისების შესაქმნელად, რაც სარგებელს მოუტანს მოქალაქეებს და განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. ეს შეიძლება მოიცავდეს ჰაკათონების ორგანიზებას, გრანტების ან ჯილდოების გაცემას საუკეთესო აპლიკაციებისთვის და სხვა ქვეყნებიდან აღებული ღია მონაცემთა ხელახალი გამოყენების წარმატებული მაგალითების ჩვენებას.

სხვა ვალდებულებები

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

ქვემოთ განხილულია ხვა ვალდებულებები, რომლებიც IRM-მა არ მიიჩნია პერსპექტიულ ვალდებულებებად. წინამდებარე მიმოხილვაში წარმოდგენილია ამ ვალდებულებების შესწავლისა და შესრულების ხელშეწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

ვალდებულება 1, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ფოკუსირებულია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გამოქვეყნების სტანდარტების გაუმჯობესებაზე. საქართველოს მთავრობა ცვლილებებს შეიტანს დადგენილებაში „საჯარო ინფორმაცის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, ინფორმაციის ახალი ჩამონათვალის დამატების მიზნით, რომელიც გახდება პროაქტიული გამოქვეყნების საგანი. ცვლილებები ხელს შეუწყობს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებას გახდის რა საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის 13 ახალ ნაკრებს ხელმისაწვდომს პროაქტიული გამოქვეყნებისთვის, რომლებიც მოიცავს მთავრობის სხდომების ოქმებს, კულტურულ აქტივობებსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილ ბიუჯეტს, გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტისა და შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგებს, მათ შორის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსებულ შესყიდვებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს.[16] მთლიანობაში, ეს ვალდებულება განაპირობებს ზომიერ გაუმჯობესებას, ვინაიდან მის ფარგლებში, პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ 2013 წლის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ჩარჩოს ინფორმაციის ახალი ნაკრები დაემატება. თუმცა, სსო-ები აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე ძნელია ამ ღონისძიებების პრაქტიკული შედეგებისა და ეფექტურობის შეფასება (მაგალითად, მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ან სასამართლო გადაწყვეტილებები), რადგან გასარკვევია, შეიქმნება თუ არა დაბრკოლებები მათი განხორციელებისას.[17] განხორციელებასთან დაკავშირებით სიცხადის ნაკლებობა აჩენს კითხვებს მთავრობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ვალდებულების პოტენციალის შესახებ. სსო-ებმა ხაზგასმით აღნიშნეს ვალდებულების შესრულების პოტენციური შეზღუდვის გულდასმით მონიტორინგის აუცილებლობა.

ვალდებულება 3 ითვალისწინებს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას სახელმწიფო გრანტების გაცემისთვის საერთო სტანდარტების განსაზღვრის მიზნით. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით, გამართავს კონსულტაციებს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით და კანონპროექტს განსახილველად წარუდგენს პარლამენტს. სამოქმედო გეგმის მიხედვით არ არსებობს მკაფიო საკანონმდებლო დებულებები და ერთიანი სტანდარტები საქართველოს საგრანტო დაფინანსების არსებული სისტემისთვის, რაც იწვევს სახელმწიფო უწყებების მიერ გრანტების განაწილების შეუსაბამობას. ეს ვალდებულება გადმოსულია საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმიდან. იმის გამო, რომ სხვადასხვა კანონი საჭიროებდა შესწორებების შეტანას, ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტების რაოდენობის გამო კანონპროექტი არ დასრულებულა ამ სამოქმედო გეგმის ბოლოს ან მომდევნო წლებში.[18] ამ ვალდებულების ინიციატორი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის თანახმად, თავდაპირველი წინადადება მოიცავდა შემდეგს: 1) გრანტების გაცემის მინიმალური სტანდარტებისა და პრინციპების დადგენა და 2) მუნიციპალიტეტების უფლებების განსაზღვრა გრანტების გასაცემად, რაც ასევე დაექვემდებარება კანონში არსებულ მინიმალურ სტანდარტებს. თუმცა, საქართველოს მთავრობამ, მუნიციპალიტეტები

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

რეგულაციის მიღმა დატოვა, რითაც შეზღუდა ვალდებულების ფარგლები. გამოკითხულმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არა მხოლოდ გამოტოვებული იყო მუნიციპალიტეტების ჩართვის მნიშვნელოვანი პუნქტი, არამედ გაურკვეველი იყო, კიდევ რას ამოიღებდნენ, რა ცვლილებებს შეიტანდნენ და როგორ შეუწყობდა ეს ხელს არსებული სისტემის გაუმჯობესებას პარლამენტის მიერ მისი მიღების შემთხვევაში. [19] სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი რეკომენდაციას იძლევა, რომ ცვლილებები გავრცელდეს მუნიციპალიტეტებზე, რათა შესწორებული კანონით განისაზღვროს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო გრანტების გაცემის ერთიანი სტანდარტები.[20]

ვალდებულება 4 ითვალისწინებს მხოლოდ საქართველოს ინსტიტუციური და სამართლებრივი მზადყოფნის შეფასებას EITI-ში გაწევრიანებისა და წევრობის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. გარდა ამისა, იგეგმება სამთო კოდექსის პროექტთან დაკავშირებული კონსულტაციები. თანაშექმნის პროცესში სსო-ებმა შესთავაზეს საქართველოს აეღო EITI-ში გაწევრიანების ვალდებულება. გამოკითხულმა სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულმა მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს EITI-ში გაწევრიანების მნიშვნელობა წიაღისეული მოპოვების სექტორში გამჭვირვალობისა და ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით.[21] თუმცა, მათ გააკრიტიკეს ვალდებულება, რადგან ის ითვალისწინებს მხოლოდ მზადყოფნის შეფასებასა და დაგეგმვას და არ არის განსაზღვრული EITI-ში გაწევრიანების მკაფიო ვადები და ნაბიჯები.[22] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიხედვით, სამართლებრივი მზადყოფნის შეფასების მიზანი სწორედ გაწევრიანებასთან დაკავშირებული დაბრკოლებებისა და შესაძლებლეების გამოვლენაა. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სამინისტრო ასევე განსაზღვრავს შემდეგ ნაბიჯებს, რაც დაეხმარება საქართველოს EITI გაწევრიანების პროცესში. [23] IRM რეკომენდაციას იძლევა, რომ შემდეგი სამოქმედო გეგმა მოიცავდეს EITI სტანდარტის მიღებისა და გაწევრიანების ნაბიჯებს.[24]

ვალდებულება 5, რომლის შესრულებასაც ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა დაიწყო შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დეინსტიტუციონალიზაციის 2023-2030 წლების სტრატეგიის დამტკიცებით. ვალდებულება განსაზღვრავს დეინსტიტუციონალიზაციის ძირითად მიმართულებებს, როგორებიცაა საზოგადოებრივი სამუშაო, ჩართულობის მექანიზმები და საზოგადოების ინფორმირებულობა. თუმცა, არ არის განმარტებული, თუ როგორ განხორციელდება საზოგადოებრივი სამუშაო ან რა ახალი ჩართულობის მექანიზმები შეიქმნება. შესაბამისად, ვალდებულების შედეგების მიღწევის პოტენციალი გაურკვეველია. წამყვანი სამინისტროს განმარტებით, ვალდებულების ფარგლებში შეიქმნა დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრები შშმ პირთა საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, მათ შორის მათი უფლებების, შესაძლებლობებისა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის ვალდებულებების შესახებ.[25] გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს ონლაინ პლათფორმები შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.[26] განხორციელების დროს მნიშვნელოვანი იქნება გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა სამუშაოსა და ჩართულობის მექანიზმების

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

გამოყენებისა და ეფექტურობის შესაფასებლად შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით.

მე-6 ვალდებულების ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო მიზნად ისახავს გააუმჯობესოს გამოსახლებასთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და გამოქვეყნების პრაქტიკა. ამჟამად ბიურო რეგულარულად არ აგროვებს და არ აქვეყნებს მონაცემებს გამოსახლების შესახებ, რაც აფერხებს ეფექტური საცხოვრისის პოლიტიკის განხორციელებას. ღონისძიებები მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის შემუშავებას გამოსახლების შემთხვევების სტატისტიკის წარმოებისთვის, სტატისტიკური მონაცემების ახალი მეთოდოლოგიით დამუშავებასა და გამოსახლების სტატისტიკური მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნებას.
აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში, ბიურო ვერ იღებს ინფორმაციას მოვალის გარდა სხვა პირთა შესახებ. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო გამოსახლების საქმეებზე სტატისტიკის სრულად საწარმოებლად. [27] მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება ეხება საქართველოში არსებულ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას, ის უზრუნველყოფს გამოსახლების შესახებ მონაცემების გამოქვეყნების არსებული პრაქტიკის მხოლოდ მოკრძალებულ გაუმჯობესებას.

ვალდებულება 7, რომლის შესრულებასაც ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მიზნად ისახავს საბინაო პოლიტიკის ეფექტური დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. შესრულების ეტაპები მოიცავს საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის მომზადებას სოციალური კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში და საბინაო მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგიის შემუშავებას. ის წარმოადგენს საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების გაგრძელებას, შეიქმნას უწყებათაშორისი საბჭო უსახლკაროთათვის და შემუშავდეს სახელმწიფო საბინაო პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა.[28] წინა ვალდებულების შესრულების მრავალი ეტაპი, მათ შორის, საბინაო პოლიტიკის შემუშავება, არ დასრულებულა.[29] ვალდებულების მასშტაბი შეზღუდულია და მისი შესრულების ეტაპები არ არის საკმარისად გაზომვადი მისი შედეგების მიღწევის პოტენციალის შესაფასებლად. როგორც რეკომენდირებულია IRM-ის 2018-2019 წლების საპროექტო ანგარიშში, შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს პოლიტიკის ამ სფეროს OGP პროცესის ფარგლებს მიღმა განხორციელება.[30]

მე-8 ვალდებულების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს შექმნას ერთიანი სტანდარტი სამთავრობო ვებგვერდისთვისა და მობილური აპლიკაციებისთვის, რომელიც შესაბამისობაში იქნება ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის 2016 წლის დირექტივასთან.[31] ეს ვალდებულება გულისხმობს საუკეთესო პრაქტიკის კვლევას, საკითხების წარდგენას ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობ სამთავრობო კომისიაში და სტანდარტიზაციის მხარდასაჭერად სამართლებრივი ცვლილებების მომზადებას. სამთავრობო ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების სტანდარტიზაცია მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ეს ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ სტანდარტების შესწავლითა და საკანონმდებლო

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

ცვლილებების მომზადებით,რაც გულისხმობს ჩვეული საქმიანობის გაგრძელებას სახელმწიფო უწყებებებისთვის. თუ არ იქნება ცხადი, დაუწესებს თუ არა საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფო უწყებებს სტანდარტიზაციის სავალდებულო მოთხოვნებს, შედეგების მიღწევის მხრივ მისი პოტენციალი გაურკვეველი იქნება.

ვალდებულება 9 ფოკუსირებულია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინტეგრაციის მიდგომებზე. ის გულისხმობს ძირითადი საკანონმდებლო აქტების თარგმნას უმცირესობათა ენებზე, საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებასა და არსებული საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალისხმევა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობების ინტეგრაციის გასაძლიერებლად, ვალდებულება წარმოადგენს მთავრობის მიერ საკანონმდებლო აქტების უმცირესობათა ენებზე თარგნის დაწყებული პროცესის გაგრძელებას, არსებული პრაქტიკის გაფართოების გზების დაზუსტების გარეშე.

მე-10 ვალდებულების ფარგლებში ხუთი მუნიციპალიტეტი[32] შეიმუშავებს გამჭვირვალობისა და მთლიანობის სტრატეგიებს სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგის ჩარჩოსთან ერთად. ეს ვალდებულება ეხმიანება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ ვალდებულებას, როდესაც რვა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მსგავსი სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და მონიტორინგის ჩარჩოები საერთაშორისო განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით.[33] IRM რეკომენდაციას იძლევა, რომ მუნიციპალიტეტებმა ჩაატარონ წინა რვა სტრატეგიის შედეგების სათანადო ანალიზი მათი განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით და რათა ხუთმა ახალმა მუნიციპალიტეტმა შეძლოს გამოწვევების უკეთ გათვალისწინება.

---

[1] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, საქართველო საბოლოო ანგარიში 2014-2016, https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-end-of-term-report- 2014-2016

[2] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, საქართველო საბოლოო ანგარიში 2014-2016, https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-end-of-term-report- 2014-2016

[3] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში, 2016 წ.), https://idfi.ge/ge/access-to-opena-data-in-georgia

[4] ევროპის მონაცემთა პორტალი, ღია მონაცემთა სიმწიფის ანგარიში 2020, https://data.europa.eu/sites/default/files/edp_landscaping_insight_report_n6_2020.pdf

[5] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს გარდამავალი შედეგების ანგარიში 2018–2019, https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-transitional-results-report-2018-2019

[6] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოში საჯარო მონაცემების ეკოსისტემის მთავარი გამოწვევები და საჭიროებები, ნოემბერი, 2022 წ. https://idfi.ge/en/main_gaps_and_challenges_of_georgia_s_public_data_ecosystem

[7] საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია (2023-2026) და სამოქმედო გეგმა (2023-2024), https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0

[8] ლილი ლეჟავა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს უფროსი ანალიტიკოსი), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, სალომე საღარაძე (პროექტის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)),IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,

[9] EUR-Lex, 2019 წლის 20 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2019/1024 ღია მონაცემებისა და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ, https://eur-lex. europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1561563110433&uri=CELEX:32019L1024

[10] USAID და IDFI, ღია მმართველობის მონაცემთა საჭიროებების შეფასება, მარტი, 2024 წ.; https://idfi.ge/public/upload/Analysis/OGD-Report-Final-ENG.pdf

[11] EUR-Lex, 2019 წლის 20 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2019/1024 ღია მონაცემებისა და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ, https://eur-lex. europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1561563110433&uri=CELEX:32019L1024
[12] ესტონეთის საჯარო ინფორმაციის აქტი, https://www.riigiteataja.ee/en/eli/502012023005/consolide
[13] ესტონეთის ღია მონაცემთა პორტალის სალიცენზიო პირობები, https://avaandmed.eesti.ee/instructions/open-data-licensing-guide
[14] უკრაინის მინისტრთა კაბინეტის 2015 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებული დადგენილება ,,ღია მონაცემების სახით „ გასაჯაროვებელი მონაცემთა ნაკრების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ “, https://zakon.rada.gov.ua/laws/show/835-2015-%D0%BF#Text
[15] ესტონეთის საჯარო ინფორმაციის აქტი, https://www.riigiteataja.ee/en/eli/502012023005/consolide
[16] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს სამოქმედო გეგმა 2023-2025, https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-action-plan-2023-2025-december
[17] ევროკომისია, საქართველო, მორიგი დასკვნა ვენეციის კომისიის 136-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 6-7 ოქტომბერი, 2023 წ.) საერთო სასამართლოების ორგანული კანონის შესახებ წინა დასკვნის შესახებ ბ-ნ იავუზ ათარის (წევრი, თურქეთი) ბ-ნი ეირიკ ჰოლმოივკისა (წევრი, ნორვეგია) ბ-ნი იორგენ სტინ სორენსენის (წევრი, დანია) კომენტარების საფუძველზე, 9 ოქტომბერი 2023; https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)033-e
[18] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს გარდამავალი შედეგების ანგარიში 2018–2019, https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-transitional-results-report-2018-2019
[19] ლილი ლეჟავა (უფროსი ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,
[20] ლევან ფანიაშვილი (უფროსი იურისტი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,
[21] ლილი ლეჟავა (უფროსი ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,
[22] გიორგი ონიანი (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,
[23] ინფორმაცია მიწოდებულია IRM-ისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდე განხილვის დროს, 2024 წლის 20 აგვისტო.
[24] EITI სტანდარტი 2023 წ., https://eiti.org/eiti-standard
[25] ინფორმაცია მიწოდებულია IRM-ისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდე განხილვის დროს, 2024 წლის 20 აგვისტო.
[26] მაგალითად, https://disability.moh.gov.ge/index.php, შემუშავებული არასამთავრობო ორგანიზაცია "ანიკას" მხარდაჭერით.
[27] ინფორმაცია მიწოდებულია IRM-ისთვის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო) მიერ ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდე განხილვის დროს, 2024 წლის 20 აგვისტო.
[28] ღია მმართველობის პარტნიორობა, საცხოვრისის პოლიტიკა, საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, ვალდებულების აღწერა, https://www.opengovpartnership.org/members/georgia/commitments/GE0079/
[29] ღია მმართველობის პარტნიორობა, საბინაო პოლიტიკა, საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, ვალდებულების აღწერა, https://www.opengovpartnership.org/members/georgia/commitments/GE0079/
[30] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2018-2019 წლების საპროექტო ანგარიში, https://www.opengovpartnership.org/members/georgia/commitments/GE0079/
[31] EUR-Lex, 2016 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2016/2102 საჯარო სექტორის უწყებების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობის შესახებ, https ://eur-lex.europa.eu/eli/dir/2016/2102/oj
[32] ზესტაფონის, სამტრედიის, მცხეთის, ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები.
[33] ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს გარდამავალი შედეგების ანგარიში 2018–2019, https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-transitional-results-report-2018-2019

III სექცია. მეთოდოლოგია და IRM-ის ინდიკატორები

წინამდებარე მიმოხილვის მიზანი არ არის შეფასება. ეს არის სამოქმედო გეგმის მახასიათებლებისა და IRM-ის მიერ გამოვლენილი ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების სწრაფი, დამოუკიდებელი და ტექნიკური მიმოხილვა უფრო ეფექტური განხორციელების პროცესის შესაებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. IRM ხაზს უსვამს ვალდებულებებს, რომლებსაც აქვთ შედეგების მიღწევის ყველაზე მაღალი პოტენციალი, მაღალ პრიორიტეტს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთათვის და პრიორიტეტს, ეროვნული ღია მმართველობის კონტექსტში ან ამ ფაქტორების ერთობლიობას.

ეროვნული სამოქმედო გეგმის ციკლის განმავლობაში წარმოდგენილია სამი IRM პროდუქტი:

- **თანაშექმნის შეჯამება:** შეჯამება, რომელიც ხაზს უსვამს IRM-ის წინა ანგარიშებიდან მიღებულ გაკვეთილებს ქვეყნის OGP პროცესის, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ზოგადად ინფორმაციის მხარდასაჭერად.
- **სამოქმედო გეგმის მიმოხილვა:** სამოქმედო გეგმის მახასიათებლებისა და ძლიერი მხარეების და გამოწვევების ტექნიკური მიმოხილვა, რომლებსაც IRM განსაზღვრავს უფრო ეფექტური განხორციელების პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
- **შედეგების ანგარიში:** განხორციელების საერთო შეფასება, რომელიც ფოკუსირებულია პოლიტიკის დონეზე მისაღწევ შედეგებზე და იმაზე, თუ როგორ ხდება ცვლილებები. ის ასევე ამოწმებს OGP-ის წესებთან შესაბამისობას და აწვდის ინფორმაციას ანგარიშვალდებულებისა და გრძელვადიანი სწავლების შესახებ.

სამოქმედო გეგმის განხილვისას IRM მიჰყვება ფილტრაციისა და დაჯგუფების პროცესს პერსპექტიული რეფორმების ან ვალდებულებების გამოსავლენად:

ნაბიჯი 1: იმის განსაზღვრა, რა არის გადასინჯვადი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ვალდებულების <u>გადამოწმების</u> საფუძველზე.
ნაბიჯი 2: იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა ვალდებულებას <u>ღია მმართველობის რაკურსი.</u> შეესაბამება თუ არა ის OGP-ის ღირებულებებს?
ნაბიჯი 3: გადამოწმებადი ღია მმართველობის რაკურსის მქონე ვალდებულებების გადახედვა იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა გარკვეული ვალდებულებების დაჯგუფება. უნდა დაჯგუფდეს ვალდებულებები, რომლებსაც აერთიანებს საერთო პოლიტიკის მიზანი ან რომლებიც ხელს უწყობს ერთი და იგივე რეფორმის ან პოლიტიკის საკითხის განხორციელებას. დაჯგუფებული ვალდებულებების შედეგების მიღწევის პოტენციალი უნდა გადაიხედოს მთლიანობაში. IRM-ის პერსონალი მიჰყვება ამ ნაბიჯებს ვალდებულებების დასაჯგუფებლად:

a. ყოვლისმომცველი თემების განსაზღვრა. თუ სამოქმედო გეგმა არ არის დალაგებული თემების მიხედვით, IRM-ის თანამშრომლებს შეუძლიათ გამოიყენონ OGP-ის თემატური მონიშვნა, როგორც მითითება.
b. ვალდებულებების მიზნების გადახედვა იმ ვალდებულებების დადგენის მიზნით, რომლებიც ეხება ერთსა და იმავე პოლიტიკის საკითხს ან ხელს

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

უწყობს ერთი და იმავე ფართო პოლიტიკის ან მთავრობის რეფორმის განხორციელებას.

c. ვალდებულებების დაჯგუფება საჭიროებისამებრ. ვალდებულებები შეიძლება უკვე დალაგებული იყოს სამოქმედო გეგმაში კონკრეტული პოლიტიკის ან მთავრობის რეფორმების ფარგლებში.

ნაბიჯი 4: დაჯგუფებული ან ცალკეული ვალდებულების <u>შედეგების მიღწევის პოტენციალის</u> შეფასება.

ფილტრაცია შიდა პროცესია. ინდივიდუალური ვალდებულებების მონაცემები ხელმისაწვდომია 1-ელ დანართში. გარდა ამისა, ამ პროდუქტის შიდა განხილვის პროცესში IRM-ი ამოწმებს დასკვნების სიზუსტეს და აგროვებს დამატებით ინფორმაციას ექსპერტული შეფასების, საჭიროების შემთხვევაში OGP-ის მხარდაჭერის განყოფილების მიერ გაცემული უკუკავშირის, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებისა და გადამოწმების გზით, გარე ექსპერტის მიმოხილვისა და IRM-ის საერთაშორისო ექსპერტთა პანელის (IEP) მიერ განხორციელებული ზედამხედველობის მეშვეობით.

როგორც ზემოთაა აღწერილი, IRM-ი ეყრდნობა **სამ ძირითად ინდიკატორს** ამ მიმოხილვაში:

I. გადამოწმების მიზანშეწონილობა

- **დიახ, საკმარისად კონკრეტულია განსახილველად:** როგორც სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული მითითებული მიზნები და შემოთავაზებული ქმედებები საკმაოდ მკაფიოა და მოიცავს ობიექტურად შესამოწმებელ აქტივობებს განხორციელების შესაფასებლად.
- **არა, საკმარისად კონკრეტული არ არის განსახილველად:** როგორც სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული, მითითებული მიზნები და შემოთავაზებული ქმედებები გაურკვეველია და არ მოიცავს ცალსახად შესამოწმებელ აქტივობებს განხორციელების შესაფასებლად.
- ვალდებულებები, რომლებიც არ არის შესამოწმებელი, ჩაითვლება როგორც გადაუმოწმებელი და შემდგომი შეფასება არ განხორციელდება.

II. ღია მმართველობის რაკურსი

ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს იმას, დაკავშირებულია თუ არა ვალდებულება ღია მმართველობის ღირებულებებთან, როგორებიცაა გამჭვირვალობა, სამოქალაქო მონაწილეობა ან საჯარო ანგარიშვალდებულება, როგორც ეს განსაზღვრულია ღია მმართველობის დეკლარაციაში და OGP-ის მმართველობის მუხლებში, შემდეგ წამყვან კითხვებზე პასუხის გაცემით. ვალდებულების შესახებ ტექსტის ყურადღებით წაკითხვის საფუძველზე IRM-ი პირველ რიგში განსაზღვრავს, გააჩნია თუ არა ვალდებულებას ღია მმართველობის რაკურსი:

- **კი/არა:** ვალდებულება მიზნად ისახავს გახადოს პოლიტიკის სფერო, ინსტიტუტი ან გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო გამჭვირვალე, მონაწილეობითი ან ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე?

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

IRM-ი იყენებს OGP-ის ღირებულებებს, როგორც ეს განსაზღვრულია მმართველობის მუხლებში. გარდა ამისა, OGP-ის თითოეულ ღირებულებასთან დაკავშირებული ქვემოთ წარმოდგენილი კითხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვალდებულების ანალიზში კონკრეტული ღია მმართველობის რაკურსის დასადგენად:

- **გამჭვირვალობა:** მთავრობა გამოაქვეყნებს მეტ ინფორმაციას, გააუმჯობესებს საკანონმდებლო ან ინსტიტუციურ ჩარჩოებს ინფორმაციის მიღების უფლების უზრუნველსაყოფად, გააუმჯობესებს გასაჯაროვებული ინფორმაციის ხარისხს ან გააუმჯობესებს მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესების ან ინსტიტუტების გამჭვირვალობას?
- **სამოქალაქო ჩართულობა:** მთავრობა შექმნის ან გააუმჯობესებს შესაძლებლობებს, პროცესებს ან მექანიზმებს საზოგადოებისთვის ინფორმირების ან გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით? მთავრობა შექმნის, უზრუნველყოფს ან გააუმჯობესებს მონაწილეობის მექანიზმებს უმცირესობებისთვის ან არასაკმარისად წარმოდგენილი უმცირესობებისთვის? მთავრობა ხელს შეუწყობს სამართლებრივი გარემოს შექმნას შეკრების, გაერთიანებისა და მშვიდობიანი პროტესტის თავისუფლების უზრუნველსაყოფად?
- **საჯარო ანგარიშვალდებულება:** მთავრობა შექმნის ან გააუმჯობესებს მოხელეების ქმედებებზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობებს? მთავრობა უზრუნველყოფს სამართლებრივ, პოლიტიკურ ან ინსტიტუციურ ჩარჩოებს საჯარო მოხელეების ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად?

III. შედეგების მიღწევის პოტენციალი

IRM-მა შეცვალა ეს ინდიკატორი, რომელიც ადრე ცნობილი იყო როგორც „პოტენციური ზემოქმედების“ ინდიკატორი,OGP-თან IRM Refresh-ის კონსულტაციიდან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინების მიზნით. IRM პროდუქტების ახალ შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგიული ფოკუსით, IRM-მა ცვლილება შეიტანა ამ ინდიკატორში მოსალოდნელი შედეგებისა და პოტენციალის განსაზღვრის მიზნით, რომელთა გადამოწმება მოხდება IRM-ის შედეგების ანგარიშში განხორციელების შემდეგ. ამ სამოქმედო გეგმის მიმოხილვის მიზნიდან გამომდინარე, შედეგების პოტენციალის შეფასება მხოლოდ ადრეული მაჩვენებელია იმისა, რომ ვალდებულების შესრულება მოიტანს მნიშვნელოვან შედეგებს სამოქმედო გეგმაში მისი ფორმულირებიდან გამომდინარე პოლიტიკის შესაბამის სფეროში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

ინდიკატორის მასშტაბი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- **გაურკვეველი:** ვალდებულება მიზნად ისახავს არსებული პრაქტიკის გაგრძელებას მოქმედი კანონმდებლობის, მოთხოვნების ან პოლიტიკის შესაბამისად დამატებითი სარგებლის ან გაუმჯობესებული ღია მმართველობის მიდგომის მითითების გარეშე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებით.
- **ზომიერი:** პოზიტიური, მაგრამ ცალკეული ინიციატივა ან ცვლილება პროცესებში, პრაქტიკაში ან პოლიტიკაში. ვალდებულება არ განაპირობებს სავალდებულო ან ინსტიტუციონალიზებულ ცვლილებებს მთავრობაში ან პოლიტიკის მმართველ ინსტიტუტებში. მაგალითებია ინსტრუმენტები (მაგ., ვებგვერდი) ან მონაცემთა გამოქვეყნება, ტრენინგი ან საპილოტე პროექტები.

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

- **მნიშვნელოვანი:** სავარაუდო ,,გეიმჩეინჯერი“ (გარდატეხის მომხდენი) პრაქტიკასთან, პოლიტიკასთან ან პოლიტიკის სფეროს მმართველ ინსტიტუტებთან, საჯარო სექტორთან ან მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობასთან მიმართებაში. ვალდებულება განაპირობებს სავალდებულო და ინსტიტუციონალიზებულ ცვლილებებს მთავრობაში.

წინამდებარე მიმოხილვა მომზადდა IRM-ის მიერ ნოდარ ხერხეულიძესთან თანამშრომლობით,რომელიც განიხილა გარე ექსპერტმა ბრენდან ჰალორანმა. IRM-ის მეთოდოლოგიის, IRM-ის პროდუქტების ხარისხისა და განხილვის პროცესის ზედამხედველობას ახორციელებდა IRM-ის საერთაშორისო ექსპერტთა პანელი (IEP). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ,,IRM-ის მიმოხილვა“ OGP-ის ვებგვერდზე.[1]

[1] IRM-ის მიმოხილვა: https://www.opengovpartnership.org/irm-guidance-overview/

დანართი 1. ვალდებულება ვალდებულების მონაცემების მიხედვით

ვალდებულება 1: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების მოქმედი სტანდარტების გაუმჯობესება - რეფორმების მეორე ტალღა
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: ზომიერი
ვალდებულება 2: ღია მონაცემების აქტის მიღება
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: მნიშვნელოვანი
ვალდებულება 3: სახელმწიფო გრანტების დაფინანსების სისტემის გამჭვირვალობის გაუმჯობესება
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: გაურკვეველი
ვალდებულება 4: გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა მოპოვებითი მრეწველობის სექტორში
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: გაურკვეველი
ვალდებულება 5: საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: გაურკვეველი
ვალდებულება 6: სტატისტიკური მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და გამოსახლების შესახებ მონაცემების გამოქვეყნება
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: ზომიერი
ვალდებულება 7: სოციალური კეთილდღეობის რეფორმის სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში საბინაო პოლიტიკის ძირითადი საკითხების განსაზღვრა
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? არა • შედეგების მიღწევის პოტენციალი: ზომიერი
ვალდებულება 8: ვებგვერდის და მობილური აპლიკაციების ხელმისაწვდომობა
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

• შედეგების მიღწევის პოტენციალი: გაურკვეველი
ვალდებულება 9: ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინტეგრირების მიდგომების გაძლიერება
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: გაურკვეველი
ვალდებულება 10: გამჭვირვალობისა და კარგი მმართველობის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტებში
• გადამოწმებადია: დიახ • აქვს თუ არა ღია მმართველობის რაკურსი? დიახ • შედეგების მიღწევის პოტენციალი: ზომიერი

დანართი 2: სამოქმედო გეგმის ერთობლივი შექმნა

OGP-ის წევრ ქვეყნებს მოუწოდებენ, მიზნად დასახონ OGP-ის მონაწილეობისა და ერთობლივად შექმნის სტანდარტების სრული რეალიზაცია, რომლებიც ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარს.[1] IRM აფასებს ყველა ქვეყანას, რომლებმაც წარადგინეს სამოქმედო გეგმები განახლებული სტანდარტების მიხედვით 2022 წლიდან მოყოლებული. ცხრილი 2 ასახავს, რამდენად აკმაყოფილებს ქვეყნების მონაწილეობისა და ერთობლივი შექმნის პრაქტიკა მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

OGP-მ დააწესა 24-თვიანი საშეღავათო პერიოდი განახლებულ სტანდარტებზე სამართლიანი და გამჭვირვალე გადასვლის უზრუნველსაყოფად. 2023 წლის 31 დეკემბრამდე ერთობლივად შექმნილი და წარდგენილი სამოქმედო გეგმები ექვემდებარება საშეღავათო პერიოდს. IRM შეაფასებს, რამდენად აკმაყოფილებენ ქვეყნები სტანდარტებსა და მინიმალურ მოთხოვნებს.[2] თუმცა, ჩაითვლება, რომ ქვეყნები მხოლოდ პროცესის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, თუ ისინი არ დააკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს 2024 წლიდან მოყოლებული ერთობლივად შექმნილ სამოქმედო გეგმებთან მიმართებაში.

გაითვალისწინეთ, რომ OGP-ის ეროვნული სახელმძღვანელოს მიხედვით, ოთხწლიანი სამოქმედო გეგმის განმახორციელებელ ქვეყნებს გავლილი უნდა ჰქონდეთ განახლების პროცესი ორი წლის თავზე. ქვეყნები სავარაუდოდ განახლების პროცესში დააკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს 3.1 და 4.1.[3] IRM-ის მიერ განახლების პროცესის შეფასება წარმოდგენილი იქნება შედეგების ანგარიშში.

ცხრილი 2. მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა

მინიმალური მოთხოვნა	დაკმაყოფილდა ერთობლივი შექმნის დროს?	დაკმაყოფილდა განხორციელების დროს?
1.1 სივრცე დიალოგისთვის: ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში „საბჭო“) წარმოადგენს საქართველოს მრავალმხრივ ფორუმს (MSF) მუდმივ სამუშაო ჯგუფთან, OGP საქართველოსფორუმთან ერთად. საბჭოსა და ფორუმის ძირითადი წესები წარმოდგენილია საქართველოს OGP-ის ვებგვერდზე,[4] ასევე საბჭოს შექმნის შესახებ მთავრობის 2020 წლის თებერვლის დადგენილებაში.[5] ერთობლივად შექმნის პროცესში ფორუმის წევრები პირველად შეიკრიბნენ 2019 წლის 27 დეკემბერს[6] და შემდეგ 2022 წელს ორჯერ 21 იანვარს და 24 თებერვალს.[7] საბჭოპირველად შეიკრიბა: 2023 წლის 20 დეკემბერს სამოქედო გეგმის დასამტკიცებლად.[8] რადგან 1-ლი სტანდარტი მოითხოვს, რომ OGP-ის დიალოგის უზრუნველსაყოფად მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ შეკრეებას, საქართველომ ვერ დააკმაყოფილა ამ სტანდარტის მინიმალური მოთხოვნები მეხუთე სამოქმედო გეგმის თანაშექმნისას.	არა	*უნდა შეფასდეს შედეგების ანგარიშში*

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism

2.1 OGP-ის ვებგვერდი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ფლობს საჯაროდ ხელმისაწვდომ OGP-ის ვებგვერდს ქართულ და ინგლისურ ენებზე.[9] ვებგვერდზე წარმოდგენილია უახლესი სამოქმედო გეგმა და არ მოითხოვს პაროლს ან რეგისტრაციას.	დიახ	*უნდა შეფასდეს შედეგების ანგარიშში*
2.2 საცავი: OGP-ის ვებგვერდს წარმოადგენს საქართველოს OGP-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის საცავს. ხელმისაწვდომი დოკუმენტები მოიცავს საქართველოს მიერ განხორციელებულ ყველა სამოქმედო გეგმას,[10] წინა IRM-ის ანგარიშებსა და თვითშეფასების ანგარიშებს, საბჭოსა და ფორუმის (სამუშაო ჯგუფის) შეხვედრების ოქმებს.[11] საცავი არ მოიცავს სსო-ების მიერ შემოთავაზებულ ვალდებულებებს და უკუკავშირს. საცავი განახლდა ერთხელ 2023 წელს, 2023 წლის 20 დეკემბრის საბჭოს სხდომის დასკვნის საფუძველზე, როდესაც დამტკიცდა მეხუთე სამოქმედო გეგმა.[12] სტანდარტი 2-ის მიხედვით, საცავი უნდა განახლდეს მინიმუმ წელიწადში ორჯერ თანხმობის პროცესისა და OGP-ის ვალდებულებების შესრულების მტკიცებულებებით; საქართველომ ვერ დააკმაყოფილა ამ სტანდარტის მინიმალური მოთხოვნები მეხუთე სამოქმედო გეგმის თანაშექმნისას.	არა	*უნდა შეფასდეს შედეგების ანგარიშში*
3.1 წინასწარი შეტყობინება: საქართველოს მთავრობის ადმინიტრაციას არ გამოუქვეყნებია თანაშექმნის გრაფიკი და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის შესაძლებლობების მიმოხილვა OGP-ის ვებგვერდზე, როგორც ამას მოითხოვს სტანდარტი 3. საქართველოს მთავრობის ადმინიტრაციამ ფორუმის წევრებს ელფოსტით გაუგზავნა თანაშექმნის განრიგი 2019 წლის 27 დეკემბერს პირველი სხდომის გამართვის შემდეგ. თუმცა, ეს განრიგი მოიცავდა მხოლოდ 2020-2021 წლებში სამოქმედო გეგმის შემუშავების საწყის გეგმას. განახლებული განრიგი არ გაგზავნილა დაინტერესებულ მხარეებთან, როდესაც თანაშექმნის პროცესი განახლდა 2021 და 2022 წლებში.	არა	არ მიესადაგება
3.2 გასვლითი ღონისძიებები: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ 2019 წლის 23 დეკემბერს საბჭოს წევრ სსო-ებს ელფოსტით გაუგზავნა შეტყობინება თანაშექმნის პროცესის დაწყების შესახებ. OGP-ის სამდივნომ (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ადმინისტრირების განყოფილება, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს და მხარს უჭერს საბჭოს და ფორუმს) სტუდენტებისთვის ჩაატარა ესეების კონკურსი თანამედროვე მსოფლიოში ღია მმართველობის როლზე.[13] თუმცა, ამ კონკურსმა ხელი არ შეუწყო სამოქმედო გეგმას. OGP-ის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად სხვა არანაირი გასვლითი ღონისძიება არ განხორციელებულა თანაშექმნის პერიოდში.	დიახ	არ მიესადაგება
3.3 უკუკავშირის მექანიზმი: დაინტერესებულ მხარეთაგან ინფორმაციის შეგროვების ძირითადი მექანიზმი იყო ფორუმის სხდომები, სადაც დაინტერესებული მხარეები განიხილავდნენ სსო-ების წინადადებებს. საბჭოს წევრმა სსო-ებმა ორივე შემთხვევაში წარმოადგინეს შემაჯამებელი დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა სსო-ს წინადადება. სსო-ებმა და	დიახ	არ მიესადაგება

მთავრობის წარმომადგენლებმა განიხილეს ეს წინადადებები 2021 წლის დეკემბერში და 2022 წლის თებერვალში გამართულ ფორუმის სხდომებზე. 2023 წლის გაზაფხულზე OGP-ის სამდივნომ მოუწოდა სსო-ებს განეხილათ სამოქმედო გეგმის პროექტი, მაგრამ სსო-ებმა დატოვეს ფორუმი 2023 წლის თებერვალში უცხოური აგენტების კანონის შემოღებისა და სსო-ებზე მთავრობის ზეწოლის გაზრდის შემდეგ. სამოქმედო გეგმის პროექტი არ გამოქვეყნებულა ფართო საჯარო განხილვისთვის.		
4.1 დასაბუთებული პასუხი: ფორუმის ორ სხდომაზე სსო-ების წინადადებების განხილვის შემდეგ OGP-ის სამდივნომ თავისი უკუკავშირის შესახებ საბჭოს წევრებს ელფოსტის მეშვეობით შეატყობინა, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელი ვალდებულებები განიხილეს სამოქმედო გეგმაში შესატანად. ეს გამოხმაურება გაეგზავნა დაინტერესებულ მხარეებს 2022 წლის დეკემბერში,[14] კონსულტაციებიდან ერთი წლის შემდეგ და OGP-ის საცავის შესახებ დამატებითი გამოხმაურება არ გამოქვეყნებულა. სსო-ები არ დაეთახმნენ OGP-ის სამდივნოსგან მიღებულ პასუხებს.[15] სსო-ების თანახმად, ვალდებულებები, რომლებიც მთავრობამ მიიჩნია, როგორც „სრულად განხილული“, მოიცავდა ისეთ ცვლილებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიდნენ ვალდებულებების თავდაპირველ ამბიციასა და მიზანს. სსო-ები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ამ პასუხმა აჩვენა, რომ მთავრობა ამჯობინებდა OGP პროცესი ფორმალობად განეხილა და არა მნიშვნელოვანი თანამშრომლობისა და რეფორმების შესაძლებლობად.	დიახ	არ მიესადაგება
5.1 ღია განხორციელება: IRM შეაფასებს, გაიმართა თუ არა შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელების შედეგების წარმოდგენისა და ასევე იმ მიზნით, რომ სამოქალაქო საზოგადოებას მისცემოდა შედეგების ანგარიშში თავისი კომენტარების წარმოდგენის საშუალება.	არ მიესადაგება	*უნდა შეფასდეს შედეგების ანგარიშში*

[1] 2021 OGP-ის მონაწილეობისა და თანაშექმნის სტანდარტები: https://www.opengovpartnership.org/ogp-participation-co-creation-standards/
[2] IRM-ის სახელმძღვანელო მითითებები მინიმალური მოთხოვნების შესაფასებლად: https://www.opengovpartnership.org/documents/irm-guidelines-for-the-assessment-of-minimum-requirements/
[3] OGP-ის ეროვნული სახელმძღვანელო, 2022 წ., პარაგრაფი 2.3: https://www.opengovpartnership.org/documents/ogp-national-handbook-rules-and-guidance-for-participants-2022/
[4] ღია მმართველობა საქართველო, საბჭოს შესახებ, https://ogpgeorgia.gov.ge/en/about-the-council/; ფორუმის შესახებ, https://ogpgeorgia.gov.ge/en/about-the-forum/
[5] საქართველოს მთავრობის დადგენილება №110, „საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 13 თებერვალი, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4798598?publication=0
[6] ღია მმართველობა საქართველო, ფორუმის პირველი შეხვედრა გაიმართა 2019 წლის დეკემბერში, https://ogpgeorgia.gov.ge/en/news/de3724ad-d870-4803-b45c-6cb6bb440239/
[7] ღია მმართველობა საქართველო, ფორუმის შეხვედრის ოქმი, 2022 წ., https://ogp.gov.ge/forum-meetings/
[8] ღია მმართველობა საქართველო, საქართველოს უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ განიხილა და მხარი დაუჭირა OGP საქართველოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტს, https://ogpgeorgia.gov.ge/en/news/bc86132c-d23f-40c0-99ea -603f8f2dd75d/
[9] ღია მმართველობა საქართველო, https://ogp.gov.ge/

[10] ღია მმართველობა საქართველო, ეროვნული სამოქმედო გეგმები წლების მიხედვით, https://ogpgeorgia.gov.ge/action-plan/

[11] ღია მმართველობა საქართველო, შეხვედრის ოქმი, https://ogp.gov.ge/forum-meetings/?Year=2022&fbclid=IwAR0rhX8u-hZZzKKiqfOkfIKmh9XIScu47LqZ30IK7cVlQpHftOXdjgHBSMI

[12] ღია მმართველობა საქართველო, ახალი ამბები, https://ogp.gov.ge/news/archive/?Year=2023

[13] ღია მმართველობა საქართველო, ესეების კონკურსი: „ღია მმართველობის როლი თანამედროვე მსოფლიოში: ძირითადი ღირებულებები და გამოწვევები“, 2022 წლის 16 ივნისი, https://ogp.gov.ge/news/dc5351cb-7023-4f90-8810-e278718bf890/?fbclid=IwAR0_LosiaPlZqG00000G2G0000G1VX. I_iB_ftBu5tVbrNw

[14] ლილი ლეჟავა (უფროსი ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,

[15] ლილი ლეჟავა (უფროსი ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,; გიორგი ონიანი (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე), IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, ; სალომე საღარაძე (პროექტის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)),IRM-ის მიერ ჩატარებული ინტერვიუ,

Open Government Partnership
Independent Reporting Mechanism